პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

18 სექტემბერი

კვირა

1869. 1 ინტერნაციონალის 4 ყრილობის გახსნა ბაზელში.

1809. ფრიდრიხამის ზავი, რომლის მიხედვით ფინეთი რუსეთს შეუერთდა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზინშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

დღიური

— წალკის რაიონში დღეს და ხვალ იწარმოებს გრანდიოზული მუშაობა არხის გაყვანაზე, [illegible] მონაწილეობენ 2 ათასი მუშა და წითელ. არმიელი.

— საფრანგეთი ცდილობს [illegible] წინააღმდეგ პოლონეთის და რუმინეთის ამხედრებას.

№ 164 კვირა, 18 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 18 სექტემბერი. 1921 წ. № 164

პირველი ნაბიჯი

მუშა-გლეხური საბჭოთა მთავრობა რევოლუციონური კანონმდებლობით სწყვეტს მიწის საკითხს. მაგრამ მარტო მიწის საკითხის გადაჭრით, ე. ი. მემამულეთა ექსპროპრიაციით და მათი მამულების მშრომელ გლეხებისათვის გადაცემით არ განისაზღვრება რევოლუციონური მთავრობის აგრარული პოლიტიკა. მთავარი საკითხი—გლეხის მეურნეობის ყოველმხრივი გაუმჯობესება, მისი [illegible], უმაღლეს საფეხურზე აყვანა. მართალია, გლეხი [illegible] საკუთრების, კერძო, ინდივიდუალური მეურნეობის მოყვარეა, მას არ აქვს შეგნებული საზოგადოებრივი შრომის და კოლექტიური მფლობელობის უპირატესობა და ეს აძლევს [illegible] სტიმულს გა[illegible]. მაგრამ ეს გარემოება [illegible] ჩვენ [illegible] ცხოვრებით [illegible] გლეხს, [illegible] ვაჩვენოთ ყოველი საშუალებით.

ჩვენს დასაბუთებას გლეხისადმი ორი მიზანი უნდა ჰქონდეს. პირველი ის, რომ გლეხმა იგრძნოს, საკუთარი თვალით დაინახოს ჩვენი [illegible], [illegible] მისი მეურნეობა, მის სოფელს, მის ოჯახს უნდა დაეტყოს დაპირების გამოძახილი, ხელშესახები შედეგი. ეს და მხოლოდ ეს დაარწმუნებს გლეხს იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა და მუშათა კომუნისტური პარტია მართლაც, თუმცა ხშირად გლეხისთვის [illegible], სიტყვით კი არ კმაყოფილდებიან; რომ მათი სიტყვა და საქმე—ერთია.

მეორე მიზანი—პრაქტიკული გაკვეთილების და გამოცდილების გზით გლეხმა შეიგნოს საზოგადო საქმის შეერთებული, კოლექტიური შრომით კეთება.

„ყველა თავისთვის, ღმერთი კი ყველასათვის“—ასეთია ყველა ქვეყნის გლეხური თქმულება, წარმოშობილი წვრილ კერძო საკუთრების ნიადაგზე, წვრილ მესაკუთრულ მეურნეობის მოქმედების ატმოსფეროში.

ცხოვრებამ რამდენიმეჯერ უკვე გამოაცალა ნიადაგი ამ გლეხურ ფილოსოფიას. საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ისტორიული მოწოდება—თანდათანობით, მაგრამ სწრაფად გამოაცალოს ნიადაგი ამ ფილოსოფიას და გლეხის ფსიხოლოგია გაჟღინთოს კოლექტივისტური სულისკვეთებით და სოფლის ცხოვრებით. ამ მუშაობას კი ეტყობა ადვილებს სწორედ ის კამპანიები, რომელიც უკვე ჩაუტარებიათ ჩვენს ამხანაგებს ქუთაისის მაზრის სხვადასხვა ოლქებში, და რომლის ჩატარებაც მთელი საქართველოს მასშტაბით იწყებს ახლა ჩვენი პარტია.

18 და 19 ამ თვეს განზრახულია 2000 მუშის და წითელ არმიელების დახმარებით [illegible] ველის [illegible] არხის გაყვანა [illegible]. ეს არხი [illegible] 3 ათასი დესეტინა მიწის მორწყვა[illegible].

აი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიისათვის საუკეთესო პროპაგანდა აგიტაციის საუკეთესო ნიმუში! გლეხის ფსიხოლოგიაში ასეთი სამუშაოს შედეგი მოახდენს ისეთს ცვლილებას, რასაც ვერ მოახდენს მთელი წლის სიტყვიერი აგიტაცია თუნდა საუკეთესო ორატორების.

მთელი რიგი ინჟინერ-ტეხნიკოსების და სხვა სპეციალისტების მიემგზავრებიან მიწათ-მოქმედების კომისარიატის და სახალხო მეურნეობის საბჭოს დავალებით საქართველოს ყველა კუთხეებისაკენ, რათა ადგილობრივად გამოიმუშაონ გეგმა მთელი რიგი, მიუცილებელი სამუშაოების სოფლის მეურნეობის, სოფლის სინამდვილის გასაუმჯობესებლად. ჩვენი პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებმა, თითოეულმა კომუნისტმა და გლეხის ყველა გულშემატკივარმა ხელი უნდა შეუწყოს სპეციალისტების წინასწარ მუშაობას, შემდეგ კი თვით სამუშაოების ნაყოფიერად ჩატარებას.

ესაა გზა და ხიდი ქალაქის პროლეტარიატის და სოფლის მშრომელი მასსის მჭიდროთ შემაერთებელი, საბჭოთა წყობილების გასამაგრებლად.

მიწის რეფორმის პრაქტიკული მხარე და მისი გატარება ცხოვრებაში

(ამხ. სანაძის წერილის გამო. იხ. „კომუნისტი“ № 158)

საბჭოთა მთავრობის მიერ დაწყებული რეფორმა მიწის საკითხის გადასაჭრელად ჩვენში ერთად ერთი სწორი გამოსავალია იმ უსამართლობიდან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა მიწის მფლობელობის და სარგებლობის დარგში. არ არის სხვა არავითარი გზა, სხვა არავითარი საშუალება ამ უსამართლობის მოსასპობლათ. მაგრამ თუ შედარებით ადვილი იყო მიწის კანონის გამომუშავება და შედგენა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მშრომელი გლეხკაცობის ინტერესებს როგორიც არის საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიწის დეკრეტი № 17, ასე ადვილი როდია ამ კანონის ცხოვრებაში გატარება. უნდა წარმოიდგინოთ ის სხვადასხვაობა მიწის მფლობელობისა და სარგებლობის, ის უთვალავი ურთიერთობანი წინანდელ მემამულე და გლეხს შორის.—ურთიერთობანი, რომლებიც მიწის მშრომელთ აყენებდნენ პირდაპირ მონურ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ასეთ ურთიერთობათა გაბათილება შედარებით სძნელო საქმე არაა, ჩვენ იმათ ვაბათილებთ სწრაფათ და დაუზოგველათ.

მაგრამ მეორე მხრით არის ურთიერთობანი თვით მშრომელთა შორის. არის სხვადასხვა კატეგორიები მშრომელ გლეხკაცობისა მეტი თუ ნაკლები შეძლებულობის კვალობაზე, არის ძველთაგან დარჩენილი და გლეხკაცობის ძვალსა და რბილში გამჯდარი ტრადიციები,—და ყოველივე ეს რეფორმის ცხოვრებაში გატარების დროს წინ გვეღობება და ჩვენ მუშაობას აბრკოლებს. აშკარაა, ყველა ამ ურთიერთობათა გათვალისწინება თითქმის შეუძლებელია, და ისინი გვხვდებიან ჩვენ ცხოვრებაში თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მხოლოდ იმას, ვისაც სისწორით შეთვისებული აქვს საბჭოთა ხელისუფლების დედა აზრი და მნიშვნელობა, ვინც საფუძვლიანად იცნობს საბჭოთა კანონებს მიწის შესახებ, მხოლოდ იმას შეუძლია სამართლიანად გადაჭრას ყველა ის კითხვები, რომლებიც გამომდინარეობენ მიწის მფლობელობის და სარგებლობის ძველ ურთიერთობათაგან, მაგ., ლალის ანუ მიწის იჯარის გადახდის საკითხი და სხვ. სამწუხაროთ, ასეთი პირები ჩვენ ცოტანი გვყავს. და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიწის საკითხის ნიადაგზე ადგილი აქვს ბევრ გაუგებრობას და შეიძლება პირდაპირ ბოროტმოქმედებასაც.

მაგრამ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ხვდება კიდევ სხვა გვარი, უფრო ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებაც. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ მიწის რეფორმის გატარება ცხოვრებაში მთელ საბჭოთა საქართველოს ფარგლებში, თანახმად მიწის დეკრეტისა № 17, თხოულობს წინასწარ მუშაობის შესრულებას; [illegible] ამისთვის აუცილებლად საჭიროა, სანამ რეფორმის განხორციელებას მოეკიდებოდეთ ხელს, გამორკვეულ უნდა იქნას ყველა თავისუფალ ანუ დასანაწილებელ მიწების რაოდენობა როგორც საერთოთ მთელ რესპუბლიკაში, ისე ცალკე რაიონებში, მაზრებში და სოფლებში; აგრეთვე საჭიროა გამორკვევა უმიწოწყლოთა და მცირე მიწის პატრონთა რაოდენობისა როგორც ცალკე სოფლებსა და მაზრებში, ისე მთელ რესპუბლიკაში; და ამავე დროს მიწის საშუალო ნორმის გამომუშავება საშუალო ოჯახისათვის. აშკარაა, თუ ასეთი ცნობები არ გვექნება ხელში, მთავრობა ისე ვერ შეუდგება მიწის დანაწილებას მშრომელთა შორის მთელ რესპუბლიკის ფარგლებში. ისიც აშკარაა, რომ ასეთი ცნობების შეგროვება და შემდეგ იმათი განხილვა და შესწორება თხოულობს დროს და ამ ხნის განმავლობაში რეფორმის გატარება ცხოვრებაში უნდა შეჩერებული იქნას. ეს, რა თქმა უნდა, ვნებს იმათ ინტერესებს, ვინც მიწას საჭიროებს დღესვე. და ამ გარემოებამ შეიძლება რამდენიმეთ სახელიც გაუტეხოს გლეხკაცობის თვალში საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ დასაშვებათ ვთვლით დროებით ზომების მიღებას გაჭირვებულ გლეხების დასაკმაყოფილებლათ მიწით. აქ, ამ ნიადაგზე, მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებებს და მიწის კომიტეტებს შეეძლოთ ფართო თვითმოქმედების და თაოსნობის გამოჩენა. სამწუხაროთ, სინამდვილეში ჩვენ ჯერ ამას ვერ ვხედავთ, ან თუ ვხედავთ ძლიერ იშვიათათ.

და ასეთ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ხონის რაიონი, როგორც ამას მოწმობს ამხ. სანაძის წერილი (კომუნ., № 158) როგორც ჩანს ამ წერილიდან ხონის ამხანაგებს და კერძოთ თვით ხსენებულ წერილის ავტორს მიწის რეფორმა გაუგიათ სწორედ ისე, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა თვით მთავრობას. და ამავე დროს მის პრაქტიკულ განხორციელებასაც შესდგომიან. მასთან მეტად საგულისხმიეროა ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ამხანაგების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რამდენადაც ეს ჩანს ამხ. სანაძის წერილიდან, თითქმის ყველა სწორე და მისაღებია, მით უფრო, რომ ყოველივე ეს პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი მთავრობის მიერ გამოცემულ მიწის კანონებიდან.

რა თქმა უნდა, როგორც კი მიწათმოქმედების კომისარიატი და მთავრობა იმ წინასწარ მუშაობას, რომელზედაც ჩვენ ზევით ვამბობდით, ხონის რაიონში დროებით მიღებული მიწის საშუალო ნორმა და სხვა ზომები შეიცვლება თანახმად იმ ნორმებისა, რომლებიც რესპუბლიკანურ ფარგლებში იქნება მიღებული.

მიუხედავად ამისა ეს გადადგმული ნაბიჯი მოსაწონია, ვინაიდან ის მშრომელი გლეხკაცობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ არის გაკეთებული; მისალმება და მოსაწონია აგრეთვე ყველა ის შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებსაც ამხ. სანაძე იძლევა თავის საყურადღებო წერილში. თავის თავად იგულისხმება, რომ ყველა ასეთ მოსაზრებებს და პრაქტიკულ დაკვირვებებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენ სიამოვნებით და დიდი ყურადღებით გადავიკითხეთ ამხ. სანაძის წერილი, რომელიც სავსეა პრაქტიკული შენიშვნებით და დაკვირვებით და ვურჩევთ ყველა ჩვენ ამხანაგებს, რომლებიც ახლო უდგანან მიწის რეფორმის საქმეს, შესაფერი ყურადღებით გადაიკითხონ ის და გამოიყვანონ იქიდან სათანადო დასკვნები.

თავდაპირველი რეფორმის გატარებისთვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია და საკმარისათ ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, ასე რომ მომავალი გაზაფხულიდან, ჩვენ იმედი გვაქვს, რეფორმის განხორციელებას შევუდგებით რესპუბლიკანურ ფარგლებში. მეტად საინტერესო და სასარგებლოც იქნებოდა, რომ ისეთნაირი მუშაობა, როგორიც მოუხდენიათ ხონის რაიონში მიწის რეფორმის ირგვლივ, მომხდარიყო სხვა რაიონებშიაც, მაგ., ნორმების გამომუშავება, მიწის მიმღებების დაყოფა კატეგორიებათ, საეზო ნორმები, და სხვ. და სხვ. მაშინ რეფორმის დამთავრება, მისი გატარება ცხოვრებაში ერთი ათად გაადვილდებოდა. ჩვენ ვურჩევთ მხოლოდ სხვა რაიონების და მაზრების ამხანაგებს ყურადღება მიაქციონ ხონის ამხანაგების ნაბიჯებს და რამდენათაც შეიძლება მიბაძონ მათ მიწის რეფორმის საქმეში.

ჩვენ დაგვრჩა აქ მხოლოდ ერთი შენიშვნის გაკეთება ამხ. სანაძის წერილის გამო. საქმე აი რაშია: თავის წერილში ამხ. სანაძე ეხება აგრეთვე მენშევიკების აგრარულ რეფორმას და საერთოთ სისწორით და მართლათ ახასიათებს მას. მხოლოდ ის ცდება, როცა ამბობს, რომ მენშევიკების რეფორმამ „მოსპო მსხვილი მიწათმფლობელობაო“. ეს დებულება სიმართლეს მოკლებულია. ფაქტიურათ და არსებითათ მენშევიკების აგრარული რეფორმა არ სპობდა მსხვილ მიწათმფლობელობას, მართალია ერთ დროს ფიქრობდენ მაქსიმალურ, უდიდეს ნორმის დაწესებას მიწათმფლობელთათვის, რომლის ზევით არავის არ შეეძლო მიწის შეძენა, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებათ დარჩა და სინამდვილეში მსხვილი მიწათმფლობელობა არსებითათ ისევ ძალაში დარჩა, ჯერ თქვენ ყურადღება მიაქციეთ მენშევიკების ნორმებს: 1) ვენახები, ბაღები და საერთოთ კულტურულათ დამუშავებული მიწები 7-დან 10 დესეტინამდე; 2) სახნავ სათესი მიწები 15 20 დესეტინამდე და 3) საძოვრები და სხვ. 40 50 დესეტინამდე. დავეთანხმოთ, რომ ეს ნორმები საშუალოზე მეტია. მაგრამ ეს არაფერი. ყველამ კარგათ იცის, რომ ძველი მემამულეები ახერხებდენ, რომ მათ შერჩენოდათ ყველა ის მიწები, რომლებიც წინეთ იმათ ეკუთვნოდათ [illegible] და ათასგვარი ეშმაკობით, რაც არავისთვის დაფარული და საიდუმლო არ იყო, ისინი ყოფდენ თავის მამულებს ოჯახის წევრებს შორის, და თითოეული წევრი ღებულობდა თავის ნორმას. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში მენშევიკების მთავრობა ყოფილ მემამულეებს [illegible] უტოვებდა მთელ მამულს იჯარით მეტად შეღავათიან პირობებში. მაგრამ ამით კიდევ არ გათავებულა საქმე. მენშევიკებმა დააკანონეს მიწის ყიდვა გაყიდვა. მართალია, ნორმის ფარგლებში, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო, რასაც ლოღიკურათ მიწის შეუზღუდველი ყიდვა გაყიდვა და სპეკულიაცია უნდა მოყოლოდა. აშკარაა, რომ ყოველივე ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მენშევიკების აგრარულმა რეფორმამ მოსპო კერძო მსხვილი მიწათმფლობელობა. პირიქით ყოველივე ამტკიცებს იმას, რომ მენშევიკები ხელს უწყობდენ და შველიდენ ასეთი მიწათმფლობელობის განვითარებას, ისინი პირდაპირ აკანონებდენ მას, და ჩვენ გვიკვირს, რომ ისეთ დაკვირვებულმა ამხანაგმა, როგორიც არის ამხ. სანაძე, ვერ შენიშნა ეს გარემოება.

აი ის დებულება, რომელშიაც ჩვენ არ ვეთანხმებით ამხ. სანაძეს და რისთვისაც რედაქციამ მის წერილს შენიშვნა გაუკეთა. მაგრამ ამ გარემოებას არსებითათ დღეს ჩვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს და წერილის ეს ნაკლი სავსებით იფარება იმ დიდი ღირსებით, რომლებიც ამხ. სანაძის წერილს აქვს.

ფ. მახარაძე.

საბჭოთა რუსეთის პრესა

საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება კაპიტალისტებთან.

(შრომისა და თავდაცვის საბჭოს ნაკაზი ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებებისადმი).

ეს საკითხი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ერთ ძირითად საკითხათ გადაიქცა ბევრისათვის.

სამ წელზე მეტია საბჭოთა ხელისუფლება დევნის კაპიტალისტებს, ართმევდა მათ კერძო საკუთრებას, ანადგურებდა ფიზიკურად თუ ისინი გაუწევდენ მას შეიარაღებულ წინააღმდეგობას, მოაწყობდენ შეთქმულებას და სხვ.

და აი, საბჭოთა ხელისუფლება არა თუ იწვევს სამსახურში ყოფილ კაპიტალისტებს, არამედ ნებას აძლევს მათ [illegible], გახსნან სამრეწველო დაწესებულებები და იჯარითაც აძლევს კიდევ მათ ზოგიერთ ფაბრიკა ქარხნებს.

ეს გარემოება ბევრს აფიქრებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას თავის საერთო პრინციპიალური დამოკიდებულება კაპიტალისტებისადმი ოდნავადაც არ შეუცვლია. კაპიტალისტთა კლასი როგორც იყო, ისევ რჩება საბჭოთა ხელისუფლების თვალში მუშებისა და მშრომელ გლეხების უბოროტესი მტერი. საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის უთითებდა ამაზე ყველა მშრომელებს და დიდი ხანი არ არის, რაც მან აღმოაჩინა კაპიტალისტებისაგან მოწყობილი შეთქმულებათა მთელი რიგი.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის ბრძოლამ კაპიტალისტების წინააღმდეგ მოგვცა მათზე სრული გამარჯვება. ეს პირველი, მთავარი და ძირითადია, რაც სახეში უნდა ვიქონიოთ, თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

რასაკვირველია კაპიტალისტებს არ დაუტოვებიათ ძველი პლანები ძალაუფლების კვლავ ხელში ჩასაგდებათ. საზღვარგარეთ მათ აქვთ თავიანთი ორგანიზაციები. მაგრამ მათი კლასიური ძალა გატეხილია. სახელმწიფო ძალა-უფლება მტკიცედ უპყრიავს მუშებსა და გლეხებს. მათ ხელშია არა მარტო სახელმწიფოს მთელი მართვა გამგეობა, მთელი შეიარაღებული ძალები, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არამედ მთავარი სამეურნეო ძალებიც: ყველა ფაბრიკა ქარხნები, მიწები, მაღაროები, ტრანსპორტ-ტელეგრაფი, მსხვილი საფინანსო საშუალებანი და სხვ.

ამიტომ ნაკაზი სამართლიანად ამბობს, რომ ეხლა კაპიტალისტები და მათთან დამოკიდებულება არ არის საშიში. პირიქით საბჭოთა ხელისუფლების წინ წამოიჭრა საკითხი: როგორ გამოიყენოს მან რესპუბლიკის კეთილდღეობისთვის ცალკე კაპიტალისტების სამეურნეო ცოდნა, გამოცდილება და ორგანიზაციული ნიჭი?

მეორე არა ნაკლები არსებითი გარემოება არის შემდეგი: საბჭოთა ხელისუფლება ებრძოდა ბურჟუაზიას, კაპიტალისტებს, მემამულეებს, მსხვილ და საშუალო წარმოების საშუალებათა (ფაბრიკა ქარხნების, მიწების, ფულის და სხ.) მესაკუთრეებს: მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ ებრძოდა წვრილ მესაკუთრეებს — გლეხებს, ხელოსნებს, შინა მრეწველთა და სხ. პირიქით წვრილი მესაკუთრეები ეხმარებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლებამ წვრილ მესაკუთრეებს არა თუ არ წაართვა წარმოების საშუალებანი, არამედ, პირიქით, გლეხებს დაურიგა მემამულეების მიწები და წვრილი მწარმოებლები გადაარჩინა ძლიერ და საშიში მეტოქე-ფაბრიკანტ მექარხნეებისაგან.

ეს ყველამ იცის, მაგრამ ყველას არ ესმის თუ რა გამომდინარეობს აქედან.

წვრილი მრეწველი ქმნის როგორც მსხვილი კაპიტალისტიც, არა მხოლოდ თავის კერძო საჭიროებისათვის, არამედ გასაცვლელად, გასაყიდათ, ბაზრისათვის. სხვანაირად მის მეურნეობას არსებობა არ შეუძლია, რადგანაც ის ვერ აწარმოებს ყველა საჭირო პროდუქტებს.

წვრილ მწარმოებელთა შორის გაცვლა ძლიერ შეიზღუდა სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ მაშინაც ის ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. და მშვიდობიანობის ხანაში გადასვლასთან საქონლის გაცვლა გამოცვლა წვრილ მწარმოებელთა შორის უეჭველად უნდა გაძლიერებულიყო. ამ გაცვლა გამოცვლაში უეჭველად იბადება შუამავალი—ვაჭარი. გაცვლის განვითარებასთან ერთად აუცილებლად ჩნდება კაპიტალისტები და კაპიტალისტური დამოკიდებულება.

საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს უწევს სრულიად აუცილებელს და ჩვენი ნებიდან დამოუკიდებელ მდგომარეობას. კაპიტალისტები არიან და გაჩნდებიან, კაპიტალისტური დამოკიდებულება განვითარდება მიუხედავათ იმისა გვსურს ეს ჩვენ თუ არა, რადგანაც ჩვენ ქვეყანაში უმრავლესობა წვრილი მწარმოებელია. მთელი კითხვა იმაშია. შეგვიძლია თუ არა განსაზღვრული ზღუდე დაუდვათ კაპიტალისტურ დამოკიდებულების განვითარებას? და რამდენადაც ის აუცილებელია, შეგვიძლია თუ არა გამოვიყენოთ ის მშრომელთა სასარგებლოდ?

ჩვენთვის სავსებით ცხადია შემდეგი:

„მუშურ-სახელმწიფოს აქვს საკმაო საშუალება, რომ მხოლოდ განსაზღვრულ ზომამდი დაუშვას ამ (კაპიტალისტური) დამოკიდებულების განვითარება, რომლებიც სასარგებლო და აუცილებელია წვრილ წარმოების მდგომარეობაში და აგრეთვე კონტროლი გაუწიოს ამ დამოკიდებულებას.

უპირველესად ყოვლისა სრულიად ნათელია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შეუძლია გამოსცეს, როგორც მას სურს, კანონები და წესები კაპიტალისტების მოქმედებისათვის. მაგალითად მას შეუძლია ნება დართოს გახსნას მხოლოდ ის სამრეწველო წარმოებები, რომელთა მუშების რიცხვიც განსაზღვრულ ნორმას არ აღემატება (წვრილ საწარმოო დაწესებულებათა გახსნის ნებართვას საბჭოთა ხელისუფლება იძლეოდა წინათვე) მას შეუძლია ზოგიერთი კერძო წარმოება სრულიად აკრძალოს შეუძლია კერძო მწარმოებლებს ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი სამრეწველო გადასახადები დაადოს. მას შეუძლია არ დაუშვას კაპიტალისტებსა და მათი მრეწველობის ერთმანეთთან შეერთება. და ბოლოს საბჭოთა სახელმწიფო [illegible] იძულებით ზომის წინაც თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს.

მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ვთქვით, ხელში აქვს საკმაო სამეურნეო ძალები, რომლებითაც შეუძლია, იძულებით ზომებისადმი მიუმართავად, შეზღუდოს კაპიტალისტურ დამოკიდებულების განვითარება და ჩააყენოს ის განსაზღვრულ ფარგლებში.

ტრანსპორტ-ტელეგრაფი სახელმწიფოს ხელშია და საკმაოა მოუსპოთ კაპიტალისტებს შესაძლებლობა ისარგებლონ ამ საშუალებით რომ მათ ფაბრიკებზე პროდუქტების წარმოება უაზრობათ გადაიქცეს.

ყველაზე მსხვილი და საუკეთესო სამრეწველო წარმოებები იმყოფება სახელმწიფოს ხელში: საჭიროა მხოლოდ მათი ამოქმედება და განვითარება, რომ კონკურენციის საშუალებით დასცეს ბაზარზე კერძო მწარმოებელის ყოველნაირი საქონელი. [illegible] კი სანამ საბჭოთა სახელმწიფოს არ განუვითარებია სავსებით წარმოება თავის ფაბრიკა-ქარხნებში, კერძო წარმოება საჭირო და სასარგებლოა. ის არა თუ გაამრავლებს პროდუქტების რაოდენობას, რომლებიც საჭიროა გლეხურ მეურნეობის და მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ, კიდეც დაეხმარება მსხვილ სახელმწიფოებრივ წარმოებასაც (მეტი იქნება პური, სათბობი და ნედლი მასალა, მრავალგვარი დამხმარე წარმოებანი და სხვ.).

აი, რისთვის აძლევს უფლებას საბჭოთა ხელისუფლება არა თუ კერძო საკუთრო—სამრეწველო წარმოების გახსნას, არამედ, იჯარითაც სცემს კაპიტალისტებზე ზოგიერთ სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნებს (რომლების ამუშავებაც ეხლა ჩვენ თითონ არ შეგვიძლია). კიდევ მეტი: ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობს კერძო ინიციატივას სამეურნეო აღმშენებლობასა და საქონლის გაცვლა გამოცვლაში. ეხლა უმთავრესი საკითხია შევამსუბუქოთ, შევანელოთ ასე თუ ისე სამეურნეო გაჭირვება.

ამნაირად, ეხლა მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ დაწვრილებით შევისწავლოთ თუ როგორი ფორმები მიიღო ჩვენში კაპიტალისტურ დამოკიდებულების განვითარებამ და გამოვძებნოთ სახელმწიფოს მხრივ ანგარიშისა და კონტროლის სათანადო ზომები კაპიტალისტურ წარმოებისათვის. ეს ზომები უნდა იყოს ისეთი, რომ მით კერძო სამეურნეო შემოქმედება არ შეიზღუდოს, უკეთ ვთქვათ. არ აიკრძალოს, არამედ წახალისდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ კაპიტალისტებმა დაიცვან საბჭოთა ხელისუფლების ყველა სათანადო დადგენილებები.

ნაკაზი ავალებს ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებს მიაწოდონ დაწვრილებითი ანგარიშები თუ რა მდგომარეობაში იმყოფება საქმე და რა გაკეთდა მათგან კერძო სამეურნეო შემოქმედების წასახალისებლად.

რამდენად ვითარდება კერძო ვაჭრობა და როგორ უწევენ მას კონტროლს? კლებულობს თუ არა ვაჭრობის განვითარებასთან ერთად „მეშჩანობა“? არის თუ არა კაპიტალისტებისაგან სამრეწველო წარმოება, საჭირო ბინების იჯარით აღების წინადადება, ან და არის თუ არა შემოსული შეგროვების, შესყიდვის გაყიდვის პროდუქტების განაწილების კომისარიატების წინადადებები? როგორ კონტროლს უწევენ კაპიტალისტებს? ვითარდება თუ არა შინა მრეწველობა? ახალისებენ თუ არა დამოუკიდებელ ინიციატივას საქონლის გაცვლისა და სამეურნეო შემოქმედების დარგში? ეძლევა თუ არა შეღავათი იმ გლეხებს და მეხელოსნეებს, რომლებიც სახელმწიფოს აძლევენ გასაცვლელად თავის ზედმეტ პროდუქტებს? ეძლევა თუ არა ასეთ გლეხებს და შინა მრეწველებს წასახალისებლად წარმოების საშუალებათა საჭირო იარაღები და პირველ მოთხოვნილების საგნები?

უყენებს რა ასეთ კითხვებს ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებს, ნაკაზი ამით უთითებს განსაზღვრულ ზომებზე, თუ კი ისინი ამას თითონ ვერ მიმხვდარან. ანგარიშები ადგილებიდან დაგვანახვებენ როგორც გამოუცდელობით გამოწვეულ სუსტი ცდის მაგალითებს, ისე ჩვენი მუშაობის დადებითი შედეგებს. შრომისა და თავდაცვის საბჭოს ამით საშუალება მიეცემა გამოასწოროს ნაკლი-დაუხმაროს და მთელ ხაზში განამტკიცოს საქმის სწორი დაყენება.

რაც უმთავრესია—ყველა ამ ანგარიშების შედეგათ შრომისა და თავდაცვის საბჭოს გათვალისწინებული ექნება ზომა იმ საზღვრების რომლებშიაც საჭიროა დავუშვათ კაპიტალისტური დამოკიდებულებათა განვითარება.

ვ. კარპინსკი.

„ბედნოტა“ № 1003.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

ზუგდიდი, 15 სექტ. (დეპ.) მაზრაში მოსავლის პირი კარგია, თუ უკანასკნელმა ავდარმა ცუდად არ იმოქმედა. ყურძნის მოსავალიც კარგია.

ვოლგის მხარის დამშეულთა დამხმარე კომისია 18 სექტემბერს მართავს სალამოს დამშეულთა სასარგებლოდ.

მაზრაში გახსნილია 25 სახალხო სამკითხველო.

ოზურგეთი, 15 სექტ. (დეპ.) დამკვრელი წესით მოეწყო სახელმწიფო ბანკის და გამომცემლობის განყოფილება სად. ნატანებზე. გახსნილია მიმღებ გადამცემი პუნქტი.

სკოლების თითქმის ყველა შენობებს სჭირიათ კაპიტალური რემონტი. საგანგებო სალიკვიდაციო კომისია მაზრის მასშტაბით აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვას. გახსნილია 15 პუნქტი უცოდინართა სალიკვიდაციოთ. სწარმოებს სკოლების და სკოლის მუშაკთა გადაჯგუფება. ტარდება მთლიანი საშრომო სკოლის რეფორმა, განზრახულია ადგილობრივი პერიოდული ორგანოს გამოცემა. განზრახულია საბავშვო ბაღების და მოედნების გახსნა.

მოსავლის პირი საშუალოა. დაიწყო შემოდგომის წვიმები.

ახალი სენაკი 13 სექტ. (დეპ.) ახალსენაკში მოეწყო სამაზრო პოლიტ განათლების განყოფილება, რომელმაც გამოიმუშავა უახლოესი მუშაობის გეგმა მაზრის მასშტაბით.

13 სექტემბერს საორგანიზაციო განყოფილებამ მოიწვია სათანადო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება. სამი კაცისაგან არჩეულია კომისია ცენტ. მუშათა კლუბის მოსაწყობად. კომისიამ 20 სექტემბრისათვის უნდა დაასრულოს მუშაობა.

მიღებულია ზომები სახალხო უნივერსიტეტის გასახსნელად.

ოზურგეთი. 14 სექტ. (დეპ.) სამტრედიაში მოეწყო სახ. ბანკის და გამომცემლობის განყოფილება სადგურზე გახსნილია მიმღებ გადამცემი პუნქტი. განზრახულია საბავშვო ბაღის გახსნა 50 ბავშვისთვის. ხდება უცოდინართა აღრიცხვა, რომელთა რიცხვი დაახლოვებით უდრის 17 000 კაცს, უცოდინარობის სალიკვიდაციოდ რაიონში განზრახულია 50 სკოლის გახსნა.

რუსეთი

ახალი ეკონომიური პოლიტიკა

მოსკოვი. 17 სექ. (რადიო) მოსკოვის გუბერნიის მნიშვნელოვან წარმოებათა სიაში, რომელთა მმართველობა წარმოებს სახელმწიფოებრივ საფუძველზე. საერთო სახელმწიფოებრივი ფონდის ანგარიშზე შევიდა 315 წარმოება 150.494 მუშით. წარმოებები უზრუნველყოფილი იქნებიან სათბობ მასალით. წარმოებათა სია, რომელნიც იჯარით გაიცემიან, შეიცავს ჯერ-ჯერობით 254 წარმოებამდის 16,000 მუშით. შემდეგში ეს რიცხვი შესამჩნევათ გადიდებულ იქნება.

12 სექტემბრამდის გაცემულია იჯარით 26 წარმოება, ვადა 1—15 წლამდე—უმთავრესად სასურსათო მრეწველობის.

12 წარმოება გადაეცათ კოოპერატივს. სულ მიღებულია განცხადება 277 წარმოებაზე.

ეპიდემიის მოძრაობა

მოსკოვი 17 სექტემბერი (რადიო) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ხოლერის ეპიდემიამ იკლო. იმ დროს, როდესაც ივლისში აღრიცხული იყო 74.700 შემთხვევა, აგვისტოს პირველ ნახევარში იყო მხოლოდ 16 781 შემთხვევა. მე-3 კვირაში 1701 და მე 4-ში ჯერ არ სრულ ცნობებით 290 შემთხვევა. სულ 6 სექტემბრისთვის აღრიცხულია 126 760 შემთხვევა ხოლერისა. უფრო ძლიერს ეპიდემიას უფას, სარატოვის და სამარის გუბერნიებში ეპიდემია ახალ ადგილებში არაა შემჩნეული.

საზღვარ-გარეთის საქონლის მოსვლა.

მოსკოვი. 16 სექ. (რადიო) საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, აგვისტოს მეორე ნახევარში პეტროგრადში ჩამოვიდა 22 უცხოური გემი 2418375 ფუთ. შემდეგი საქონლით: ფქვილი, ხორბალი, ლიანდაგები, ბანდაჟები, გუთნები, ნახშირი და დამარილებული თევზით. ნოვოროსიისკში ამ ხნის განმავლობაში ჩამოვიდა 2 გემი 330,000 ფუთი კოქსით.

საზოგადო მუშაობა

სამარა. 15 სექ. (რადიო). ბუზულუკის მაზრაში მოეწყო საზოგადო სამუშაოები, რომლებშიც ჩაბმულია 6,000 კაცი. დღიური ფასი უდრის 7,000 მანეთს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საფრანგეთი

საფრანგეთის ჯოჯოხეთური ზრახვები.

მოსკოვი. 16 სექ. (რადიო). გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ამხილა საფრანგეთის ცდას, გამოიწვიოს პოლონეთის და რუმინეთის ომი რუსეთთან. საფრანგეთის ელჩმა გადასცა პოლონეთის მთავრობას ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: „ეხლა, როცა რუსეთში შიმშილობაა და საბჭოთა მთავრობის მთელი ძალღონე მიმართულია მასთან საბრძოლველად, პოლონეთს და რუმინეთს ეძლევათ ხელსაყრელი შემთხვევა წაუყენონ რუსეთს ულტიმატუმის ფორმით მაქსიმალური მოთხოვნები, [illegible] შემთხვევაში დაიწყონ საომარი მოქმედებანი“. [illegible] საფრანგეთის მთავრობა წარუდგენდა საბჭოთა რუსეთს ულტიმატუმ მოთხოვნებს. შემდეგ საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს პოლონეთის ჯარის დემობილიზაციის შეჩერებას და რუმინეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის გადაცემას საფრანგეთის გენერალურ შტაბისადმი. საფრანგეთის, პოლონეთის და რუმინეთის ერთი ულტიმატუმი უნდა ყოფილიყო წარდგენილი, როცა პოლონეთის და რუმინეთის ჯარები საომრად მზად იქნებოდნენ. საფრანგეთის ნოტა ითხოვს პოლონეთს, რომ საფრანგეთის მთავრობა შესრულებს ულტიმატუმს და წავა მეტად მძიმე დათმობებზე. იმის შემთხვევაში, საფრანგეთი გაუწევს პოლონეთს ფართო სამხედრო და ფინანსიურ დახმარებას. ასეთივე ნოტა გაეგზავნა რუმინეთს, რომელიც იზიარებს საფრანგეთის პოლიტიკას. გარეშე საქმეთა კომისარიატის ცნობებით, ნოტა განხილულ იქნა პოლონეთის კაბინეთის მიერ, და, თუმცა თანაგრძნობით შეხვდნენ მას პოლონეთის პოლიტიკის უმაღლესი ხელმძღვანელნი, მაინც საფრანგეთის წინადადება პოლონეთის მიერ უარყოფილ იქნა (როგორც რუმინეთის მიერაც). პოლონეთი დასთანხმდა შეიარაღებას [illegible], მაგრამ შეიარაღებულ შეტაკებამდე საქმე არ მიუყვანიათ. ერთდროულად პოლონეთი არკვევს, რა დათმობის საფასურით ზემო სილეზიის საკითხში, შეიძლება გერმანიამ დაიცვას ნეიტრალიტეტი, პოლონეთ რუსეთის ომის შემთხვევაში. გარეშე საქმეთა კომისარიატი აქვეყნებს საფრანგეთის ჯოჯოხეთურ ზრახვებს მშრომელთა, მსოფლიოს პატიოსან მოქალაქეთა მიერ მსჯავრის დასადებად.

ტაკე იონესკუს განცხადება

ოდესა. გაზ. „ლიტერატორულ“ იტყობინება, რომ ტაკე იონესკუმ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საფრანგეთის მხრივ დამშეულ რუსეთისადმი დახმარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ვინაიდან საფრანგეთი მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდის საბჭოთა რუსეთზე თავდასასხმელად. გაზ. „ლუპტა“ თავის მხრივ ავსებს ამ ცნობებს ტაკე იონესკუს შემდეგი სიტყვებით: „საფრანგეთი თვითონ არ [illegible] ძალა ექსპედიციისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ უცხოელთა შესევის დროს, ხალხი, [illegible] ფორმის მიუხედავათ, შეიძლება აღდგეს, როგორც ერთი კაცი. ჩვენთვის ცხადია, რომ საფრანგეთს უნდა რუსეთს დაუსიოს რუმინეთის და პოლონეთის ჯარები. [illegible] უნდა იყოს კაცი, რომ იფიქროს, რომ პოლონეთ-რუმინეთის შეერთებული ჯარები შეძლებენ რუსეთის უსაზღვრო ტერიტორიის ოკუპაციას. სინამდვილეში უნდა ვიგონოთ, რომ [illegible] ერთი დნესტრის ხაზს დაცვა მოითხოვს [illegible] ჯარს, ჩვენთვის საკმარისია [illegible], თუ ჩვენს საზღვრებს დავიცავთ.

გაზ. „[illegible]“ ამ საკითხის გამო წერილში „[illegible] პოლიტიკა“ სწერს: „[illegible] ბოლშევიკების [illegible]. ტაკე იონესკუ [illegible] სხვის ხელში და სრულიად არ უწევს ანგარიშს თავის ხალხის განწყობილებას. თუ საფრანგეთს და პოლონეთს სურთ შეებან დაიწყონ რუსეთის წინააღმდეგ, ჩვენ შეგვიძლია უთხრათ გზა მშვიდობისა, მაგრამ ჩვენი იმედი ნუ ექნებათ“. ამას გარდა გაზ. „ოპინია“ სწერს: „პოლონეთს ისევ ეწვია [illegible]. ამ ქვეყანას ისე განუზრახავს ავანტიურა. ჩვენი ვალია თვალი ავუხილოთ მთავრობას და უთხრათ მას, რომ მისი მთავარი საქმე უნდა იყოს მშვიდობიანობის დაცვა ქვეყანაში“. სოც. დემ. გაზ. „ლუმეა ნოუა“ სწერს: „პოლონეთისა და რუმინეთს შორის დადებული სამხედრო კავშირი ჩვენს ქვეყანას დიდ უბედურებას უქადის. ჩვენს ოლიგარხიას სურს ქვეყანას უბედურება დაატეხოს თავზე. სანამ ხელისუფლების სათავეში უდგას შავი რეაქცია, ჩვენი საგარეო პოლიტიკა შეიძლება ხალხს ძვირად დაუჯდეს“.

საფრანგეთის ელჩმა ლონდონში „რუსეთიდან შორს ხელების“ კომიტეტის დელეგაციასთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საფრანგეთი მართლა უგზავნის პოლონეთს და რუმინეთს სამხედრო მასალას, ამასთან ელჩი ხაზს უსვამს, რომ ეს ქვეყნები იარაღდებიან საბჭოთა რუსეთის მხრიდან თავდასხმის ასაცილებლად.

გაზეთ „ტრიბუნის“ რედაქციას

გთხოვთ იხილოთ და წაიკითხოთ „ტრიბუნის“ მე 19 №-ში მოთავსებული წერილი—„ნაციონალური პოლიტიკა“, რომლის მეხუთე აბზაცის ბოლოში სწერია: „ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა (ე. ი. მენშევიკების ბატონობა. რ. კ.) არ ნიშნავს ბატონობის (?) (ვისი ბატონობის?—ალბათ ბურჟუაზიის—არა? რ. კ) აღდგენას, არც რევოლუციის ღალატს“.

რ. კ.

ქრონიკა

◆ **სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობისათვის.** 20 სექტემბრისთვის დანიშნული საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობა გადაიდო 1 ოქტომბრისთვის.

◆ **სამხედრო წესები ამიერ კავკ. რკინის გზებზე.** ამიერ-კავკას. რკინისგზათა უფროსის და კომისრის ამხ. მირონოვის ხელმოწერით რკინისგზებზე გამოქვეყნებულია ბრძანება სამხედრო წესების შემოღების შესახებ. ბრძანების ძალით ყველა მუშები, ხელოსნები, მოსამსახურენი უგამონაკლისოთ ითვლებიან მობილიზაციით გაწვეულათ თავ თავის ადგილებზე დატოვებით. სამსახურიდან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში. ყოველგვარი მოქმედებისათვის, რომლითაც დაირღვევა სახელმწიფოში არსებული წესები, რომელიც დაშლის ტრანსპორტს და ზიანს მიაყენებს საბჭოთა რესპუბლიკებს, მოსამსახურენი, მუშები და ხელოსნები, მიცემული იქნებიან სამხედრო რევოლუციონურ სასამართლოში და პასუხს აგებენ სამხედრო დროის კანონების მიხედვით. სურსათის და ბინის ხარჯზე რკინის გზის მუშები მოსამსახურეები და ხელოსნები სარგებლობენ პირველ კატეგორიის უფლებით. საოჯახო ქონება, რომელიც ეკუთვნის რკინისგზის მუშებს, მოსამსახურეებს, ხელოსნებს და მათ ოჯახებს კონფისკაციას და რეკვიზიციას არ ექვემდებარებიან. განსაკუთრებულ მკაცრ პასუხის გებას გამოიწვევს შემდეგი: მატარებელთა მოძრაობის განზრახვით შეჩერება, უპატივსადებო მიზეზის გამო მატარებლების დაკავება და სხვა სამსახურის მოვალეობის აღსრულებაში დაუდევრობა, აგრეთვე მიმოსვლის რკინის გზის აგენტების და მოსამსახურეების განკარგულებაში ჩარევა.

კავკასიის განსაკუთრებული არმიის 3 წ. თავი

საქართველოს კომპარტიის ც. კომიტეტთან მოეწყო ცენტრალური კომისია კავკასიის ცალკე არმიის სამი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად, ამხ. მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით, მისი მოადგილეა პოლ. განათლების მმართველობის თავმჯდომარე ამხ. ხაჭაპურიძე, რომელსაც მინდობილი აქვს დღესასწაულის ტეხნიკურად ჩატარება. კავკასიის ცალკე არმიის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო განზრახულია დღესასწაულს მიეცეს საზეიმო ხასიათი, რისთვისაც გამომუშავებულია დღესასწაულის შემდეგი გეგმა:

დილით, პროფკავშირები და საქ. წითელი არმია ეწყობიან თავისუფლების მოედანზე და მიესალმებიან კ. ც. ა. გამგელ ნაწილებს, აღლუმის შემდეგ, საქრევკომის, კომპარტიის, საქწითელარმიის, პროფსაბჭოს და თბილისის კომიტეტის წარმომადგენლები წარმოსთქვამენ მისასალმებელ სიტყვებს, რომლებშიც განმარტებული იქნება დღესასწაულის აზრი და მნიშვნელობა, ამასთან საქ. რევკომის წარმომადგენელი კ. არმიას გადასცემს საჩუქარს რევოლუციონურ მოღვაწეთა ალბომს, ამ დღისათვის მხატვრულად შესრულებულს და წითელ დროშას.

მისალმებათა შემდეგ, საქრევკომის და კ. პ. ცეკას წინამძღოლობით გაემართებიან ამხ. ლენინის ძეგლის დასადგმელ ადგილას, რუსთაველის პროსპ. ბოლოს ოლღის ქუჩასთან, რომელსაც საზეიმოდ ეწოდება ლენინის ქუჩა. ძეგლის გახსნის დროს შესდგება მოკლე კონცერტ-მიტინგი, გაერთიანებულ ხორის და ორკესტრის მონაწილეობით ძეგლის გახსნის ზეიმის შემდეგ მონაწილენი დაიშლებიან ვერის დაღმართით.

ცეკას, საქრევკომის, კ. ა. პოლიტგანი კ. ა. შტაბის შენობაში და მუშათა სასახლეში გამართული იქნება გირლიანდებით, ყვავილებისაგან, პლაკატებით, ხოლო ყაზარმები და კლუბები სათანადო პლაკატებით.

საღამოთი წარმოდგენები, კონცერტები, მიტინგები. ცოცხალ გაზეთის დემონსტრაცია ყველა თეატრებში და კლუბებში, აგრეთვე კინოში. დაბინდებისას განზრახულია განათება რამდენადაც შეიძლება მეტი შენობები და ქუჩები, როგორც ელექტრონით, ისე სხვა საშუალებებით. ღამით გაუშვებენ მაშხალებს ქალაქის 6 ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

თფილისის მე 4 ხე რაიონის წევრთა საერთო კრება.

ოთხშაბათს, 14 სექტემბერს მ. ცხაკაიას სახელობის კლუბში, ვერის დაღმართზე, შესდგა მე-4-ხე რაიონის კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

კრება გახსნა [illegible] რაიკომის მდივანმა ამხ. გარდაშ[illegible].

დღის წესრიგში იდგა: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2) მოხსენება საერთაშორისო პროფკავშირის მოძრაობაზე და 3) მიმდინარე კითხვები.

